

# CLOSER

## გაიაზრე სოციალური ინკლუზია

საინფორმაციო ბიულეტენი #1

ივნისი 2016

### სტრატეგიული თანამშრომლობა სოციალური ინკლუზიისთვის



#### პროექტის შესახებ:

ERASMUS+ პროექტი: „CLOSER – გაიაზრე სოციალური ინკლუზია“ ჩართული არიან შემდეგი ქვეყნები **ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, საქართველო და სლოვაკეთი**

პროექტის მიზანია გააძლიეროს ახალგაზრდა მუშაკების უნარები, ტრენინგის გზით აამაღლოს ცნობიერება ახალგაზრდებში სოციალური ინკლუზიის (ჩართულობის) თაობაზე, შეკრიბოს არსებული გამოცდილების საუკეთესო მაგალითები და განახორციელოს ინტერნეტ კამპანია.

პროექტის ჩართავს ახალგაზრდებს, ორგანიზაციებსა და საზოგადოებებს საერთაშორისო და ადგილობრივ აქტივობებში, რაც აამაღლებს სოციალური ინკლუზიის გაგებას და ააშენებს მეტად ინკლუზიურ და სოლიდარულ საზოგადოებებს.

ამავდროულად, პროექტი დაეხმარება შესაძლებლობებს მოკლებულ ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლებს უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაძლიერებაში

#### პროექტის მიზნები:

- გააძლიეროს სოლიდარობა განსხვავებული წარმოშობის, რწმენის, ასაკის, შესაძლებლობებს მოკლებული (სოციალურად და ეკონომიურად) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ
- გააძლიეროს სოციალური ინკლუზიის სფეროში მომუშავე ახალგაზრდა ლიდერები და მუშაკები და მათი მუშაობა შესაძლებლობებს მოკლებულ ჯგუფებთან
- შეკრიბოს სოციალური ინკლუზიის შესახებ არსებული მასალები და დოკუმენტები
- შეისწავლოს სოციალური ინკლუზიის სფეროში არსებული კარგი გამოცდილება
- გააძლიეროს უნარები და კომპეტენციები კამპანიის განხორციელებაში, სოციალურ მარკეტინგში, სოციალური ინკლუზიის სტრატეგიების განხორციელებაში და ა.შ.
- განახორციელოს სოციალური ინკლუზიის კვირეული ყველა პარტნიორ ქვეყანაში
- გააძლიეროს თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებს შორის

#### პროექტის მთავარი შედეგები

სოციალური ინკლუზიის სფეროში დასაქმებულების **უნარებისა და კომპეტენციების კვლევა** და მათი სატრენინგო საჭიროებების გაგება

**ტრენინგ კურსი** სოციალური ინკლუზიის სფეროში დასაქმებული ახალგაზრდა მუშაკებისთვის

სოციალური ინკლუზიის სფეროში არსებული გამოცდილების საუკეთესო მაგალითების **კრებულის** შექმნა

**კამპანიის დაგეგმვა**

**სოციალური ინკლუზიის კვირეული ყველა პარტნიორ ქვეყანაში**



# ინკლუზიის სტრატეგიების შემუშავება ორგანიზაციებში, სოციალური მარკეტინგი, კამპანია, ადვოკატირება, კონფლიქტის მენეჯმენტი, მოლაპარაკება....

.... ესენია ის უნარები, რომელთა სიმცირე გამოვლინდა ყველა პარტნიორ ქვეყანაში CLOSER - ის პარტნიორების მიერ. პარტნიორებმა ჩაატარეს ინტერნეტ კვლევა ესპანეთში, სლოვაკეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური ინკლუზიის აქტივობებში ჩართული ორგანიზაციების ახალგაზრდა მუშაკების უნარებისა და კომპეტენციების კვლევას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა სპეციფიკური საჭიროებები თითოეულ ქვეყანაში, თუმცა, გამოვლინდა ისეთებიც, რომლებიც ყველა ქვეყნისთვის საერთო იყო. ამგვარად, შეიქმნა ბაზა საერთაშორისო ტრენინგის განსახორციელებლად, რომელიც იგეგმება პროექტის შემდეგ ეტაპზე მარსელში, 2016 წლის ოქტომბერში.

კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური ინკლუზიის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, ჩვეულებრივ, აქვთ კარგი ცოდნა არსებულ სფეროში. ასევე, აცხადებენ, რომ კარგად ესმით მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების ასპექტები და აქვთ ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარები.

საინტერესო შედეგი აჩვენა რესპოდენტის დასაქმების სტატუსის შესახებ დასმულმა შეკითხვამ - იტალიაში, საქართველოსა და სლოვაკეთში ადამიანები ძირითადად მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობენ, ხოლო ესპანეთსა და საფრანგეთში ამ სფეროში მომუშავენი მეტწილად პროფესიონალები არიან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 200 ინდივიდუალმა და 48 ორგანიზაციამ 5 ქვეყნიდან. კვლევის სრული შედეგები შეგიძლიათ იხილოთ პროექტის ვებ-

## CLOSER ტრენინგ-კურსი

ადგილი დიალოგისთვის,  
სტრატეგიების გაუმჯობესებისთვის,  
სოციალური ინკლუზიის სფეროში გამოცდილების გაზიარებისთვის და  
განვითარებისთვის

- დღე 1: სოციალური ინკლუზიის სტრატეგიები და პოლიტიკა
- დღე 2: მარკეტინგი, კამპანიისა და ადვოკატირების უნარები
- დღე 3: კონფლიქტის მენეჯმენტი და მოლაპარაკების უნარები

3-7 ოქტომბერი 2016  
მარსელი, საფრანგეთი

პარტნიორებმა ორგანიზება გაუკეთეს ორ შეხვედრას - ბარსელონაში, ესპანეთი (ნოემბერი 2015) და თბილისში, საქართველო (ივნისი 2016)



[www.socialinclusion.info](http://www.socialinclusion.info)

პროექტის პარტნიორები



**Eurocircle**

საფრანგეთი

[www.eurocircle.fr](http://www.eurocircle.fr)



**Giosef Italy**

იტალია

[www.giosef.it](http://www.giosef.it)

პროექტი ხორციელდება  
ERASMUS+ პროგრამის  
მხარდაჭერით



Co-funded by the  
Erasmus+ Programme  
of the European Union



Centrum  
pre interkultúrny  
dialóg

ცენტრი ინტერკულტურული  
დიალოგისთვის  
სლოვაკეთი  
[www.cidsk.eu](http://www.cidsk.eu)



Shida Kartli Regional Development Centre

შიდა ქართლის  
რეგიონული  
განვითარების ცენტრი  
საქართველო



CEPS Projectes Socials  
Barcelona

**CEPS PROJECTES SOCIALS**

ესპანეთი

[www.asceps.org](http://www.asceps.org)

„ევროკომისიის მიერ ამ  
პუბლიკაციის გამოცემის  
მხარდაჭერა არ ნიშნავს  
შინაარსის დამოწმებას,  
რომელიც ასახავს მხოლოდ  
ავტორების შეხედულებებს  
და კომისია არ იღებს  
პასუხისმგებლობას მასში  
არსებული ინფორმაციის  
რაიმე სახით გამოყენებაზე“